

**სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები
გურამ დოჩანაშვილის რომანში
„ლოდი ნასაყდრალი“
CASES OF SYNTACTIC ASSIMILATION
IN GURAM DOCHANASHVILI'S NOVEL
'LODI NASAQDRAL'**

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Mariam koberidze

Gori State University
Gori, Georgia

ABSTRACT

The syntactic assimilation examples in Guram Dochanashvili's novel 'Lodi Nasaqdral' are analyzed in this academic article. The author employs two methods to change the class of words: 1. lexical transformation (word production); 2. changing the sentence's logical and grammatical function (syntactic assimilation).

Syntactic assimilation, achieved through the compression of word combinations, analogy, and synonymy, leads to certain changes in words. A word out of its lexical-morphological class loses its syntactic relationship. Consequently, the role of those morphemes that are no longer independent in a new situation weakens. However, it can retain features that do not interfere with the new syntactic structure. The latter is crucial for determining the structural features of the sentence.

Guram Dochanashvili uses syntactic assimilation to characterize events or facts. On the basis of analogy and synonymy, the word class changes its grammatical role. Interestingly, parallels are drawn with historical persons or events.

Special mention should be given to nominal adjectivation, nominalization of adjectives, numerals, as well as pronouns, the changes in the principle of coordination and subordination in the verb, and the transition of the adverb into the adjective and postposition.

The writer often employs lexical units formed by the instrumental case marker (ijulebiti) (compulsory), damatebiti (additional), smeniti (auditory), etc.) as a source of syntactic assimilation, where the case marker functions as a derivative.

Such a replacement of the class of words should be distinguished from a homonymous parallel, because here we have not only assimilation, but also stable replacement. Words have already become "morphemes" (partial words) and cannot revert to their original meaning.

When changing the class of words, it is important to transform different types of words into subordinating or coordinating elements, because the independent words

(parts of speech) create relationships between themselves, i.e. they appear as units at the grammatical (syntactic) level, while the auxiliary words play a role in establishing these relationships.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის სინტაქსი, გურამ დოჩანაშვილის პროზის სინტაქსური თავისებურებები, სინტაქსური ასიმილაცია, ლექსიკური ტრანსფორმაცია.

Keywords: Syntax of the Georgian language, syntactic features of Guram Dochanashvili's prose, syntactic assimilation, lexical transformation.

ენის საკითხების კვლევისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ცალკეული დონის ერთეულები თავისებურ „სუბსტრატებს“ წარმოადგენენ სხვა დონის ერთეულებისათვის. ერთეულთა ერთი წყებიდან ან მოვლენათა ერთი დონიდან მეორეში გადასვლისას ესა თუ ის „სუბსტრატი“ ქმნის ახალ მიმართულებას, მაგრამ რიგ შემთხვევაში ინარჩუნებს თავისი დონის გარკვეულ თვისებებს, რომელიც შესაძლებელია არ ახასიათებდეს მის „ახალ მდგომარეობას“ ან არსებითად განსხვავდებოდეს მისგან (დავითიანი 1973: 172).

ქართულ ენაში სიტყვათა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასვლა (სიტყვათა კლასის შეცვლა) ხდება ძირითად ორი გზით: 1. ლექსიკური ტრანსფორმაციით (სიტყვაწარმოებით); 2. წინადადების ლოგიკურ-გრამატიკული ფუნქციის შეცვლით (სინტაქსური ასიმილაციით).

სინტაქსური ასიმილაცია გარკვეული მოვლენის (შესიტყვების შეკუმშვის, ანალოგიის, სინონიმის) საფუძველზე ხდება, რომლისთვისაც აუცილებლად დამახასიათებელია ფუნქციური ერთეულის „გადანაცვლება“ სტრუქტურაში, რის შედეგადაც გადანაცვლებული ელემენტი იჩენს იმ მორფოლოგიურ თავისებურებებს, რაც მის წინამორბედ ელემენტს ჰქონდა, მაგრამ ამასთან ერთად მას შეუძლია, შეინახოს ის თავისებურებანი, რომელნიც ხელს არ უშლიან ახალ კონსტრუქციულ ვითარებას. ამ უკანასკნელს წინადადების სტრუქტურულ თავისებურებათა დასადგენად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სიტყვათა კლასის შენაცვლებას შეიძლება ისტორიული საფუძველი ჰქონდეს: მაგალითად, ძველ ქართულში ხშირია მიმღეობათა და მასდართა შენაცვლება, უპირატესად მიმღეობათა გამოყენება მასდარის მნიშვნელობით. რიგ შემთხვევაში ეს შეიძლება იმ არქაული მდგომარეობის გადმონაშთი იყო, როდესაც ენა მასდარსა და მიმღეობას ერთურთისაგან არ განარჩევდა. ისინი არ იყო დიფერენცირებული არც წარმოებისა და არც ფუნქციის მხრივ (ჩიქობავა 1953: 48).

გურამ დოჩანაშვილის რომანი „ლოდი ნასაყდრალი“ გამოირჩევა სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევებით, სადაც ანალოგიისა და სინონიმის საფუძველზე ისტორიულ პირებთან ან მოვლენებთან გავლებულია პარალელები.

განვიხილოთ სინტაქსური ასიმილაციის ყველა ის შემთხვევა და საშუალება, რომელსაც მწერალი იყენებს.

არსებითი სახელის ან არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილის გაზედსართავება:

„ხოლო ნეტავაც გვარი **ტარკინი** საიდან მოდის, ეგებ, **სმენითი ტანკინი-დანაც**, კი?“ (დოჩანაშვილი 2003: 12).

სმენა → სმენითი ტანკინიდან
 ↑ კოორდინაციული ელემენტი ↑ სუბორდინაციული ელემენტი
 გამოყენებული სიტყვა „**ტანკინიდან**“ კლასიფიკაციის ელემენტი:

ტანკინი – კოორდინაციული ელემენტი, რომელიც გადავიდა სუბორდინაციულ ელემენტში (ზმნიზედაში) და დაუკავშირდა ასევე კლასიფიკაციის სიტყვას „სმენითი“ (ზედსართავი სახელი). თვითონ სიტყვა „ტანკინი“ (არსებითი სახელი) უნდა უკავშირდებოდეს ისტორიულ გვარს, კერძოდ, რომის მეფეებს – ლუციუს ბუსიუს ტარკვინიუსს (ძვ.წ. 535-510), ლუციუს ტარკვინიუს პრისკუსს (ძვ.წ. 616-579) და ფილმ „ვარსკვლავური ომების“ გმირ კაპიტანს – უილჰელმ ტარკინს (<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php>).

„თითქმის ნულამდე დავიდა სესერეკაელების ადრე თუმც ისედაც ყოვლად გაკოჭილად მაგრამ ვითამბტურისტულად **გასვლითი ვაი-მარკოპოლოზა** მსოფლიოს **სხვადასხვარელიეფიანი** ქვეყნების ასე დაახლოებით ცხრანახევარ მეათედში“ (დოჩანაშვილი 2003: 13).

სვლა (კოორდინაციული ელემენტი, არსებითი სახელი) → **გასვლითი** (სუბორდინაციული ელემენტი, განსაზღვრება). ერთ სუბორდინაციულ ელემენტს (გასვლითი) ახლავს მეორე სუბორდინაციული ელემენტი (ვაი-მარკოპოლოზა), რომელიც კოორდინაციული ელემენტისაგან არის ნაწარმოები (მარკოპოლოზა). შდრ, მარკო პოლო (1254-1324) – ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური (<https://ka.warbletoncouncil.org/marco-polo-biografia-datos-viajes-muerte-4172>).

„ხოლო სიბნელეში, იყო მხოლოდ და მხოლოდ სევდა კი არა, და არც ნალველი, რაღაც მეტი, **იძულებითი უძლურება** რამ, **დამატებითი**...“ (დოჩანაშვილი 2002 : 253).

იძულებითი **უძლურება**
 ↑ ↑
სუბორდინაციული **კოორდინაციული**

დამატებითი **უძლურება**
 ↑ ↑
სუბორდინაციული

მწერალი ხშირად იყენებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებს (იძულებითი, დამატებითი, სმენითი, გასვლითი...), როგორც სინტაქსური ასიმილაციის წყაროს, სადაც ბრუნვის ნიშანი დერივატის ფუნქციას ასრულებს.

„არა, არა შე **შურიანო**, ზეიმებზე რო აჩვენებენ, ემაშინ“ დოჩანაშვილი 2002: 113).

↑
შურიანო ადამიანო

შურიანო – კოორდინაციული ელემენტი (შური, არსებითი სახელი) გადავიდა სუბორდინაციულ ელემენტში (ზედსართავი სახელი), შემდეგ კოორდინაციული ელემენტის (ადამიანი) ფუნქცია შეითავსა და გაარსებითდა.

ზედსართავი სახელის გაარსებითება – სუბსტანტივაცია (სუბორდინაციული რიგის ელემენტის გადასვლა კოორდინაციულ რიგში): „ვინ დაგიღეჭავს ამ **მცენარეულს**“ (დოჩანაშვილი 2002: 113).



მცენარეულ საკვებს

სუბორდინაციული რიგის ელემენტმა განსაზღვრებამ (მცენარეული) დაიკავა კოორდინატის – არსებითი სახელის ადგილი და ასრულებს მის ფუნქციას (მცენარეულს – რას?).

„აგერ ბოქსიორების მსაჯებსაც კი აქვთ **მიკოსებული**“ (დოჩანაშვილი 2002: 113).



მიკოსებული ჰალსტუხი

მიკოსებული. შდრ. უმნოდ გაკეთებული (ქეგლ: <http://ena.ge/explanatory-online>).

„ნამეტნავად **წესიერები** ვართ“ (დოჩანაშვილი 2002 : 113).



წესიერი (წეს-იერ-ი – წესი) ადამიანები

„ესენი კიდე, **თეთროანები**, აწესრიგებენ **ნაყვის მიმდინარეობას**“ (დოჩანაშვილი 2002: 114).

სუბორდინაციულმა ელემენტმა – განსაზღვრებამ დაიკავა არსებითი სახელის (კოორდინატის) ადგილი. **თეთროანები, თეთროანი ხალხი.** შდრ. თეთრი მოძრაობა, თეთრი საქმე, თეთრი იდეა – რუსეთის იმპერიაში 1917-1923 წლებში ჩამოყალიბებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მონარქისტები, დემოკრატები და რესპუბლიკელები. ძირითადი იდეოლოგია იყო რუსული ნაციონალიზმი, „ძლიერი და ერთიანი რუსეთის“ შენარჩუნება და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკების დამარცხება. თვით ტერმინი პირველად გაჩნდა საბჭოთა რუსეთში, ხოლო ემიგრაციაში მყოფმა „თეთრებმა“ მისი გამოყენება 1920-იან წლებში დაიწყეს (<https://www.burmalibrary.org/reg.burma/archives/200110/msg00079.html>).

„**ერთი კაი ავლაბრული თავური მაგათ ერთი**“ (დოჩანაშვილი 2002 :114).

ავლაბრული თავური (-თავ-ურ-ი). შდრ.: ავლაბრული თავური – ქალაქური კრივის სახეობა, რომელიც სათვეს იღებს ყარაჩოღელებიდან (<https://www.dzegebi.ge/statiebi/etnografia/krivi.html>).

„ასე გაგვიხდა მთელ ოცდლიან-გაბმულად საყოველთაოდ **ჭიაკოკონური ჩვენი კოპწია დედაქალაქი თბილისი ჩვენი**, თბილისი კიდეც როგორ ერქვა, **ნაგავისი და ცივისი** გახდა“ (დოჩანაშვილი 2002: 118).

ჭიაკოკონური ჩვენი კოპწია დედაქალაქი თბილისი. შდრ.: დედაქალაქში მიმდინარე გამოსვლები.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-ის) გამოყენებულია დერივატის ფუნქციით:

ნაგავისი და ცივისი



ნაგვიანი და ცივი თბილისი

„იჯდა საბანშემოხვეული, ღამდამობით ირგვლივ **საზნისტყაოსანი** უღირსი თავისწილ თერთმეტსაათიან ცივ სიბნელეში, დანარჩენი ხუთი საათით – იწვა, ეძინა“ (დოჩანაშვილი 2002: 118).

საზნისტყაოსანი (შდრ.: ვეფხისტყაოსანი).



ადამიანი

„მაგრამ ღამობით, როგორი იყო იძულებით **უვაჟკაცობა, უფოლკნერობა**“ (დოჩანაშვილი 2002: 120).

უ-ვაჟკაცობა (ვაჟკაცობა), **უ-ფოლკნერობა** (ფოლკნერობა). შდრ. უილიამ კატბერტ ფოლკნერი – ამერიკელი პროზაიკოსი მწერალი.

„რომელსაც ეგებ სწორედ მას ერქვა **უმძიმესწინო** აღნიშნული სახელი“ (დოჩანაშვილი 2002: 1).

უმძიმესწინო



ადამიანი

„ვერაფერს ამჩნევ **შენსას, საშენოს, ვერა, ხომ**“ (დოჩანაშვილი 2003: 1).



საქმეს

„ახლა, მთლად **სულელებიც** არ ეთქმოდათ“ (იქვე: 4).



ძმაბიჭები

„ყოფაქცევაში იმჟამად საყოველთაო **„ფრიადი“-ს** ნაცვლად **„კარგი“** გამოაყოლეს, რომელი **„კარგი“ც „საშინელი“ს** ნიშნავდა“ (დოჩანაშვილი 2003: 8).

„იმ **გვარდავიწყებულებს** ცოტათი აგდებული შეფერილობის გვარით შეუძახებდა“ (დოჩანაშვილი 2003: 9).

გვარდავიწყებულებს



ხალხს

„მაგრამ ხომ არა გვჯერა **აქაურებს**, ჩვენ, **არაყანურიც** კი **სამუშაო** რადგან გაგვიუქმეს, ან სულ წაგვლიჯეს“ (დოჩანაშვილი 2003: 1).

გვჯერა აქაურებს

↑ კოორდინატი (გაარსებითებული ზედსართავი სახელი)

აქაურ ხალხს



სუბორდინაციული ელემენტი (ზედსართავი სახელი)

რიცხვითი სახელის გაარსებითება:

„მამა დანიელი მიუძღოდათ, ბილიკზე **ასამდე** იყვნენ“ (დოჩანაშვილი 2002: 2).

ასამდე იყვნენ. შდრ.: **ასამდე ადამიანი** იყო.

აქ რიცხვითი სახელით გადმოცემულმა სუბორდინაციული რიგის ელემენტმა – განსაზღვრებამ (ასამდე) დაიკავა კოორდინატის ადგილი და ასრულებს მის ფუნქციას. ამიტომ ზმნა-შემასმენელიც მას უთანხმდება.

„რა გეშინიათ, აქ მაინც ხომ ექვსნი ექვსზე ხართ, კლუშკებით მარტო!“ (დოჩანაშვილი 2003: 7).

სუბორდინაციული რიგის ელემენტმა – განსაზღვრებამ „ექვსნი ექვსზე“ დაიკავა კოორდინატის – არსებითი სახელის ადგილი და ასრულებს მის ფუნქციას, გაარსებითდა, გასაგნობრივდა და დაუკავშირდა ზმნას.

ნაცვალსახელის გაარსებითება:

პირის ნაცვალსახელი ასრულებს არსებითი სახელით გადმოცემული კოორდინატის ფუნქციას. ეს მოვლენა ქართული ენისათვის დამახასიათებელია. ამ მხრივ, უჩვეულო შემთხვევა არც გ. დოჩანაშვილთან გვაქვს.

„მაინც, ისევ, როგორ ჰყვარობდა სწორედ დიადი სიყვარულით სწორედ აი იმას, ვინც არ ენახა დამაგრამ გრძნობდა, როგორ გრძნობდა თან...“ (დოჩანაშვილი 2003: 1).

„ძან იცოდა იმან „გენაცვალე“, გაელწია გინდაც ხმას“ (იქვე: 7).

ზმნის გადასვლა სუბორდინაციული რიგის თანრიგში:

„ისემც... – მსუბუქად გაიფიქრა უღირსმა და, – ნუთუ სარკეში ერთხელაც არ ჩაგიხედავს“, – გაიხუმრასავით ...“ (დოჩანაშვილი 2003: 117).

ზმნა-შემასმენელი თანდებულის დართვით გადავიდა სახელის კლასში: გაიხუმრა > გაიხუმრა-სა-ვით.

„დამღონებითლურ ფიქრებში წასულს, კოვზი პირს ვერ უღებდა“ (იქვე: 21).

კოორდინაციულმა ელემენტმა – ზმნა-შემასმენელმა „აღონებს“ სუბორდინაციული ელემენტის – განსაზღვრების (ზედსართავი სახელის) ფუნქცია დაეკისრა: აღონებს > დამღონებელი > დამღონებითლური.

ზმნიზედის გადასვლა ზედსართავ სახელში:

„მაგრამ რა ატყდა ყინულზე, ისეთი რაიმ, რომ თითოეული მათგანი, აქეთურებიც (ვა?!), ეე, იქითურებიც და უფრო იქითურებიც“ (დოჩანაშვილი 2003: 10).

სუბორდინაციული რიგის ელემენტები „აქეთ“, „იქით“ გადავიდნენ ისევ სუბორდინაციულ რიგში, მხოლოდ სხვა კლასში (ზედსართავ სახელში: აქეთური, იქითური), ბოლოს კი – კოორდინაციულ რიგში, ფუნქციით არსებითი სახელის კლასში (საზღვრულიც გაუჩინარების ხარჯზე).

ზმნიზედის გადასვლა თანდებულში:

ზმნიზედა დაერთვის სახელს და გადადის თანდებულის კლასში. ასეთი ზმნიზედები უპირატესად სახელის გაქვავებული ფორმებია. ამით ძლიერდება ზმნიზედის ზმნიზედურობა (მარტიროსოვი 1960: 234).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში თანდებულები მეტწილად სახელს კი არ დაერთოდა, არამედ ზმნიზედათა ვითარებას გვიჩვენებდა (ჩიქობავა 1961: 199).

თანდებულის კლასში გადასვლის დროს ზმნიზედა კარგავს დამოუკიდებელ სემანტიკას და ვედარ სცილდება სახელს. სრულმნიშვნელიანი სიტყვა ხდება არასრულმნიშვნელიანი.

მაგ.: „იმ ჩვენი თანამეგობარი მასპინძლების **გამოისობით** ყოფილა ესეც“ (დოჩანაშვილი 2003: 22).

სუბორდინაციული და კოორდინაციური რიგის სიტყვების გაერთიანება.

გ. დოჩანაშვილის სტილის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სუბორდინაციული და კოორდინაციული რიგის სიტყვების გაერთიანება. მაგ.:

„ვერცერთი **სამსიტყვაც კივერ** გაიგო მიყოლებით“ (დოჩანაშვილი 2003: 118). „ჯამბულიაცკი გუგურიელი **ისეთისფრული** დარბაისლურათ გამოიცქირებოდა“ (იქვე: 119).

„ალბათ ყველაზე დაწინაურებულად გამორჩეული მარჯვე სამბისტი მოსამხედრო **ზურგანთაში სასხლეტანახი** თითებით ფსკერზე, დესერტისაკენ იქექებოდა ძალიანი ღრმათ და იმდენ პროდუქტში გაჭირვებისგან თავამოტრიალებულს და **თვალედახუჭით** მძებნელს, **ცალლოყა** მზისთვის მიეშვირა უნებურობით თუმცა არაკლდა შავგვრემანობა უნებურობით ესეც და ისე **იქექ-იჩხრიკებოდა ჩაყვინთულთითებით** საკუჭო **ავლა-განვლადიდებაში...**“ (იქვე: 120).

მხოლოდ კლასის შენაცვლება არ არის სიტყვათა ცვლილების ზღვრული სახე. შეიძლება სიტყვამ სულ დაკარგოს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა-დანიშნულება და მორფემად იქცეს. ამის საუკეთესო ნიმუშია (ისტორიულად) ბრუნვისა და პირის ნიშანთა გენეზისი ქართულში. თანამედროვე ქართულის ბრუნვის ნიშანთა ეტიმოლოგიას ნაწევართან მიყვავართ (კაც მან-კაც მან -კაცმან-კაცმან და სხვა (შანიძე 1980: 641). შეუძლებელი არაა, პირის ნიშანთა გენეზისის პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირება (ჩიქობავა 1953: 60).

ამრიგად, გ. დოჩანაშვილი რომანში „ლოდინასაყდრალი“ სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შეცვლის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. აღსანიშნავია ორი შემთხვევა: 1. კლასშენაცვლებული ერთეული დომინანტია; 2. კოორდინაციული ელემენტი გადადის სუბორდინაციულ ელემენტის რიგში.

სინტაქსური ასიმილაციის (სიტყვათა კლასის შენაცვლების) შედეგად სიტყვებში გარკვეული ცვლილებები ხდება. თავისი ლექსიკურ-მორფოლოგიური კლასიდან გამოსული სიტყვა კარგავს სინტაქსურ ურთიერთობას, რის შედეგადაც უსუსტდება იმ მორფემათა როლი, რომლებსაც აღარა აქვთ მნიშვნელობა ახალ ვითარებაში დამოკიდებულისათვის. მაგალითად, მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი დერივატის ფუნქციით.

სიტყვათა კლასის ამგვარი შენაცვლება უნდა განვასხვავოთ ომონიმური პარალელისაგან, რადგანაც აქ უკვე არა მარტო ასიმილაცია გვაქვს, არამედ სტაბილურად შენაცვლება; სიტყვები უკვე „მორფემებად“ (ნაწილობრივ სიტყვებად) არიან ქცეულნი და ვეღარ უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას. ამ მხრივ ყოველი გაანალიზებული სიტყვა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სრულ და ნაწილობრივ სიტყვათა შეერთება.

სიტყვათა კლასის შენაცვლებისას სხვადასხვა ტიპის თავისთავადი თუ დამხმარე მეტყველების ნაწილებად სიტყვის გარდაქცევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თავისთავადი სიტყვები (მეტყველების ნაწილები) ქმნიან ურთიერთს შორის მიმართებას, ე. ი. გრამატიკული (სინტაქსური) დონის ერთეულებად გვევლინებიან, ხოლო დამხმარე სიტყვები ამ მიმართების დამყარების ერთ-ერთი საშუალებაა.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- დავითიანი 1973:** დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1973.
- დოჩანაშვილი 2002:** დოჩანაშვილი გ., ლოდი ნასაყდრალი, I. თბილისი, 2002.
- დოჩანაშვილი 2003:** დოჩანაშვილი გ., ლოდი ნასაყდრალი, II. თბილისი, 2003.
- მარტიროსოვი 1960:** მარტიროსოვი ა., ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII. თბილისი, 1960.
- შანიძე 1980:** შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1980.
- ჩიქობავა 1953:** ჩიქობავა არნ., გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V. თბილისი, 1953.
- ჩიქობავა 1953:** ჩიქობავა არნ., მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V. თბილისი, 1953.
- ჩიქობავა 1953:** ჩიქობავა არნ., თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I. თბილისი, 1961.
- ქეგლ:** <http://ena.ge/explanatory-online>. დამოწმება: 31.07.2023.
- <https://www.burmalibrary.org/reg.burma/archives/200110/msg00079> დამოწმება: 30.07.2023.
- <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php> დამოწმება: 31.07.2023.
- <https://ka.warbletoncouncil.org/marco-polo-biografia-datos-viajes-muerte-4172> დამოწმება: 11.07.2023.